ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7543842

ნომერი: AR11098275

თარიღი : 01.07.2025

გაცემის თარიღი : 08.07.2025

გაცნობის თარიღი : 08.07.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ქუჩა ვეფხისტყაოსანი , N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ გვარამია პ/ნ 01031004186
- ალექსანდრე ყაზბეგის 1

ორგანიზაცია:

- შპს " ესთელაინი" კოდი: 204955076

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 30 ივნისის №7534300 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 1 ივლისს №AR11098275 განცხადებით მომართა თამარ გვარამიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 30 ივნისის №7534300 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მონაცემებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 30 ივნისის №7534300 გადაწყვეტილებით სამსახური დაეთანხმა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსანის ქუჩა №16-ში არსებულ ფართის ფასადზე (ს/კ: №01.72.14.034.471.01.517) აბრების დემონტაჟის შესაძლებლობას.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2025 წლის 30 ივნისის №7534300 გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, გადაწყვეტილებაში თანხმობის ტექსტის ნაცვლად შულადური გადაწყვეტილების ტექსტი არის დაფიქსირებული. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ 2025 წლის 23 ივნისს NAR11096917 განცხადებით სამსახურს მომართა თამარ გვარამიამ და მოითხოვა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსანის ქუჩა №16-ში არსებულ ფართის ფასადზე (ს/კ: №01.72.14.034.471.01.517) აბრების დემონტაჟთან დაკავშირებით თანხმობის გაცემა, რაც დაკმაყოფილდა სამსახურის 2025 წლის 30 ივნისის №7534300 გადაწყვეტილებით. თუმცა, ტექნიკური შეცდომის შედეგად გადაწყვეტილების ტექსტი არასწორად დაფიქსირდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2025 წლის 30 ივნისის №7534300 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსანის ქუჩა №16-ში არსებულ ფართის ფასადზე (ს/კ: №01.72.14.034.471.01.517) აბრების დემონტაჟის შესაძლებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების დანართი 1-ის თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საკადასტრო მონაცემები N 01.72.14.034.471.01.517; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 882017407453 22/05/2017 წ; არსებული ფოტო, ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზი.) ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსანის ქუჩა №16-ში არსებულ ფართის ფასადზე (ს/კ: №01.72.14.034.471.01.517) აბრების დემონტაჟის შესაძლებლობას. გაითვალისწინეთ: სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმის დაცვით; გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.“.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 30 ივნისის №7534300 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 30 ივნისის №7534300 გადაწყვეტილებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge